ლელო

№ 88
(11 954)

11 – 14 ნოემბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ლელოს ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ჯანსულ ბაგრატიონის დაფასება

ჯანსულ ბაგრატიონი ერთადერთია ქართულ სპორტში, რომელსაც ყველაზე ხანგრძლივად უმუშავია სხვადასხვა მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამ თვალსაზრისით რეკორდზე ყურადღება დღემდე არავის გაუმახვილებია, ამგვარი რეკორდსმენობა კი შემთხვევით სულაც არ არის. ვინც ჯანო ბაგრატიონს იცნობს, დაგეთანხმება, რომ სწორედ მისნაირ ვეულს და ჭრობიან ადამიანები უნდა ჩარიგებენ ცალკეულ დარგებს. სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი არიან, სავარჯიშოები კი, იცოცხლეთ...

ჯანო ბაგრატიონის დამსახურებას ქართულ სპორტში და მის პირიქიულ ღირსებებს ერთხელ კიდევ გაუსვამს ხაზი ვასილ სამხაბაძის, თბილისში, ეროვნული სათმენო სახლში გამართულ შეხვედრაზე. ეს შეხვედრი სალამო საერთაშორისო კულტურის ცენტრის საქართველოს „მეჯლის“ ორგანიზაციის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, ნიუ-იორკის, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **გურამ პაატაშვილის** პატრონაჟით მოეწყო. ბატონი გურამი თავად წარუძღვა სალამოს. შესავალ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა ქართველი და ებრაელი ხალხების 26 საუკუნოვანი ძმობა-მეგობრობის მნიშვნელობას, იმ დიდ სიკეთეს რაც ამ ურთიერთობას მოაქვნდა. სწორედ ქართველი ხალხისადმი მაღლიერების დასტურია, რომ საქართველოში თუ უკვე ისრალელში ამ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენგან წასული ებრაელები, უსაზღვრო სიყვარულს ავლენენ საქართველოსა და ქართველი ერისადმი და ყოველმხრივ უწყობენ ხელს მათ ღვაწლში. მისი ავტორიტეტის განდიდებას. გურამ პაატაშვილის პროგრამით თბილისში ებრაელთა თემის სახლში შეხვედრებიც საქართველოს კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის გამოჩენილ პიროვნებებთან, ამ სამყის ემსახურება. შეხვედრაზე სეროკ-ის სახატიო პრეზიდენტის, თბილისის სახატიო მოქალაქის, სხვა ღამრავი წოდებების და ჯილდოების კავალერი ჯანო ბაგრატიონის საზოგადოებრივ საქმიანობასა და ღვაწლზე, მის მაღალ ნებისმიერად ღირსებებზე იღაპარაკეს უბრალო თემის წარმომადგენლებმა **ზაირა დავარაშვილმა, შალვა ქოთაშვილმა,** სერგეი ვლასოვმა, შეხვედ — **ბუბა კაკაბაძემ**, ოლიმპიური ჩემპიონებმა — **მზია ჯუღელმა, რაფაელ ჩიმბულაანმა** და **რობერტ შავლაყაძემ**. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა **გურამ საღარაძემ, ვიტა შუბითაძემ, გოგი თოფაძემ, ჯამლეტ ხუხაშვილმა, დურმიშხან ხიტარიშვილმა, თენგიზ გაჩეჩილაძემ.**

პროფესორმა დურმიშხან ჩიტაშვილმა განაცხადა, რომ სპორტის ყველგანა, სადაც ის რეპრეზენტს შემსრულებელია, განიხილავს ჯ. ბაგრატიონის აკადემიის სპატიო პრინციპირად არჩევის საკითხს, ამასთან, დაწერდება ჯ. ბაგრატიონის სახელობითი სტიპენდია. დამსწრე საზოგადოება ოვაციით შეხვდა ამ ორ ცნობას. ბ. პაატაშვილმა საზოგადოება „მაჭახლის“ საიუბილეო მედალი გადასცა ჯ. ბაგრატიონს, ჯ. ხუხაშვილმა კი ხელი გამოკეთილი გიგანტური სასმისი — სუფრინის უსახსოვრა.

დასასრულს, ჯ. ბაგრატიონმა ღურმული მადლობა გადაუხადა ბ. პაატაშვილს, ებრაულ თემს, შეხვედრის გამლამაზებელ მუსიკოს — შემსრულებელს, მოწვეულ სტუმრებს დაღეზინილი მასპინძლობისთვის.

ამ ღონისძიებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ღირსეულ ადამიანებს საზოგადოებრიობამ ღირსეული პატივი უნდა მიაგოს, ასეთი შეხვედრები კი წესად უნდა იქცეს.

ებრაულმა თანამოქალაქეებმა ამის კარგი მაგალითი მოგვცეს.

თენგიზ თოფაშვილი

ბულგარეთში – სპრეები, თბილისში თურქები გვიმასპინძლეს

12 ნოემბრის ბულგარეთი – საქართველოს მატჩის მსაჯები სოფიაში იქნებიან. შეხვედრის მთავარი არბიტრი მილან კარაჯიჩია, მას ასისტენტებად გაუწევენ იგორ რადოიჩინი და დეიან ნედიჩი.

16 ნოემბერს, თბილისში, იორდანიის ეროვნულ გუნდთან მატჩს თურქი მსაჯები გაუძღვებიან: ისმეტ კარუმანი, ბაკი ტუნჩაი აკინი, სერკან ოყი და ონურუ ოლლირიმი.

პირველი ნაბიჯი თანამშრომლობისაკენ

„კოკა – კოლა“ სწფ-ს გენერალური სპონსორია

საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი ამხანაგური მატჩის გენერალური სპონსორობა კომპანია კოკა-კოლას ეძლევა. სწორედ, კოკა-კოლას შეშვენობით გახდა შესაძლებელი ბულგარეთი – საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ორგანიზება საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხით.

იორდანიის ეროვნულ გუნდთან მატჩის პირდაპირი ეთერით ჩვენებას განახორციელებს ტელეკომპანია „იმედი“. სფონსა და ეროვნულ ნაკრებს სპონსორობას გაუწევენ, ასევე სპორტული გაზეთები, სხვადასხვარიგი ტელევიზიის კერძო არხი, ტელეკომპანია „იმედი“ და „პირველი სტერეო“, რადიო „უცნობი“ და „მწვანე ტალღა“. გუშინ სფფ-ში მოწყობილ სახელობელ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან იაშვილმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების ოფიციალური მატჩები ეთერში ორ ენაზე გავიდა. ესენია ქართული და ინგლისური. ამ ორ ენაზე ჩატარდება ნაკრების მატჩების პრესკონფერენციებიც.

ვაბრძოლებთ ბულგარეთით, ვამთავრებთ იორდანიით

გუშინ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზაზე მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დარხაძემ** და ეროვნული ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** პრესკონფერენცია გამართეს და უახლოესი ამხანაგური მატჩების შესახებ ილაპარაკეს. გ. დარხაძემ თქვა, რომ ეს მატჩები მომავალი შესარჩევი ციკლის მოსამზადებელი ეტაპია და ცდილობს ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყაროს თავი. იგი რამდენიმე დღის წინ აღშფოთებული იყო ფეხბურთელების დროულად არ გამოცხადების გამო. „მომავალში ასე აღარ უნდა განმეორებოდეს“ – განაცხადა მწვრთნელმა. რაც შეეხება ბულგარეთის ნაკრებს თურქ ჩვენები მეტოქეზე ძალიან მწირი ინფორმაციის ფლობენ. სამაგიეროდ, დაგვიანდა, რომ გუნდი შეძლე ფეხბურთის თამაშებში და პრესინგზე გადაიტანს აქცენტს, ამასთან, მთავარი მიზანი სულ წერტილების აღმოფხვრა იქნება, რაც შეეხება ფეხბურთელების სათამაშო კონდიციებს და ყველა გამოამბებული ფეხბურთელი მიიღეს თუ არა მონაწილეობას ამ მატჩებში, **დარხაძემ** თქვა: „ზოგი ფეხბურთელისთვის დამკნეცველი სეზონია და ამ ორ მატჩში ყველას მიეცემთ თამაშის საშუალებას, რათა დაამტკიცონ – ვის რა შეუძლია“. კახა კალაძის მიმართ კი სიმპათიები არ დამალა და აღნიშნა, რომ იგი ერის სამაგალითო პირიროვნება და პროფესიონალი. და მას ყველამ უნდა მიბაძოსო.

მატჩის შესახებ კომენტარი **კალაძემ** გააკეთა: „ბულგარეთის გუნდი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ასე რომ, წინ რთული შეხვედრა გველის“.

Იხ. 80-4 გვ.

გუნდი ჩაკეტილის წესით

ქუთაისის მეთაურების თასზე სხვადასხვა შეჯიბრებების ჩატარება უკვე წესად იქცა. ახლა ქუთაისს არც ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელები ჩამორჩებიან. აგერ, მეზობელი დაღესტანის მთავარი ქალაქი მახაჩყალა შაბათ რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თასზე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს თავის ეროვნულ ნაკრებს.

ჩვენი გუნდი მწვრთნელებმა **დავით ხურციამ** და **მარლენ ოსიყმაშვილმა** ასეთი შემადგენლობით წაიყვანეს ტურნირზე: ბესიკონი გოჩაშვილი (55), ლუკა ჩაბრაძე (60), შალვა მეუნარგია (66), გელა სალარაშვილი (74), ლერი ქუთათელაძე (84), დავით ოთარაშვილი (96), ლევან მოდებაძე (98+8).

როგორც აღვე ვწერდით, მოსაკეთებელი ოგეგმება მსოფლიოს და რუსეთის ნაკრებების მატჩი პლანეტის ნაკრებში შეყვანილია ჩვენი სამი ფალავანი – ოთარ თუშურელი (66), რევაზ მინდორაშვილი (84) და ლუკა კურტანიძე (96).

პირველი ლტოლი თასი ღღეს გათამაშდება

ღღეს, თბილისის სპორტის სასახლეში სპარტაკიადის პირველი ლტოლ თასზე გაიმართება ქალ ფრენბურთოელთა მატჩი დასაკვლისა და აღმოსავლეთ ნაკრებ გუნდებს შორის. დასწყისი 16 საათზე.

ეს მეორე ასეთი ასპარეზობაა. პირველი ჩატარდა შარშან და გამარჯვება დასაკვლი საქართველოს ნაკრებს დარჩა.

SOS ქურდულად გაყიდული აუზი

ხანდახან იხეთ ამბავს გაიგებ, პირდაპირ გოცდები კაცი. არ ვიცი დაიჯერო, მაგრამ... იძულებული ხდები იწრფუნო, რადგან წყარო ოფიციალური რაა და ეჭვის შეტანის საბაბს არ გიტოვებს.

ახე შეიტყო და, უნდოდა თუ არა, იწრფუნა ჩვენმა ბაზოგადოებრიობამ, რომ გაიყიდა საარმის საცურაო აუზი (ერთმანეთში არ აურიოთ, ლაპარაკია თბილისის საარმის ქუჩის აუზზე და არა ყუთორ საარმეზე). ეს აუზი ათეული წლები განათლების სამინისტროს ბალანსზე იყო და წყალთა სახეობები, განსაკუთრებით კი წყალბურთში რეზერვს უმზადებდა საქართველოს ოლტათა გუნდებს. ბოლოს, როგორც ყველა სპორტულ ბაზას ჩვენში ეუნაგირდება ამ ობიექტსაც მოაკლდა – ზაფხულში თუ ამუშავდებოდა ერთი ორი თვით ცურვის მოყვარულთათვის.

გვეკმის, რომ პრივატიზაცია სახელმწიფო პოლიტიკაა, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა გაიყიდოს ჩალის ფასად ის ობიექტი, რომელიც, როგორც განათლების სისტემაში შემაკელი, კანონით არ უნდა გასხვისებულიყო. ეს ერთი. მეორე – რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია, თანაც საარმის ქუჩაზე, რომელიც ამ ობიექტს ეკუთვნის, ალბათ, ათჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ის თანხა, რაც ამ პრივატიზებიდან უნდა მიიღოს სახელმწიფომ. და კიდევ: თუ იყიდებოდა, იქნებ ჯერ თვით ვეტერანი წყალბურთელებისთვის შეეთავაზებინათ, რომელთა შორის ბევრი შეძლებული ბიზნესმენი. დავიჯერით, რომ 10 წელიწადი ახალი მეპატრონე პრობლემს მართლა არ შეუქცევს ამ ობიექტს და საცურაო აუზად დატოვებს? თუმცა, რატომღაც არა, მიწის ფართობის შესამედიც რომ გაიყიდოს, აუზს მართლა შეინახავს... თუ მოისურვებს.

და, იცით რა არის ყველაზე გასაოცარი? განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თურმე პოსტფაქტუმ გაუგია, რომ საარმის ქუჩაზე მისი ობიექტი გაუყიდიათ.

სამინისტროებმა (კონკრეტულად ეს სამინისტრო) ხომ მაინც უნდა სცენ პატივი ერთმანეთს, ხომ შეიძლებოდა გაფრთხილებოდა ეცნობებინათ მაინც განათლების სამინისტროსთვის, ან თანხმობის მიღებაც დაეგვიანებინათ წესი რატომ გაიიქცა ფეხქვეშ?

გუშინ, გაუთავებელად გვირეკავდნენ რედაქციაში მომხდარით აღშფოთებულ ადამიანები.

დღესაც დარეკავენ, ალბათ,

მერე რა...

მიმომხილველი

ქიშლოსანი გოგონები ანწალიაში



ხვალ ანტალიაში იწყება 15 წლამდე ძიუდოისტ გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გოდერძი ველოჯანაშვილმა საახპარზოდ 30 გოგონა წაიყვანა იმ 40-დან, რომლებიც შეარჩიეს ბაზე ჰკვადი. ძირითადი ნაკრების წევრები 15 წელს არიან გადაცილებულნი, ამიტომ ისინი, ვინც თურქეთში იასპარეზებენ, ფაქტობრივად, მეორე ნაკრების წევრები არიან.

„ეს ტურნირი კარგი საშუალ იქნება გოგონებისთვის, რომლებიც საქართველოს ქალთა ძიუდოს მომავალ ოსტატებად და ოლიმპიელებად მოიაზრებიან“ – თქვა ანტალიაში გამგზავრების წინ გოდერძი ველოჯანაშვილმა.

დავძენთ, რომ ნაკრებს „ლელოს“ ორი კორესპონდენტი ელენე კვჭავაძე და ნუნუ ტურნირზე.

თამაზ თევზაძის ხელშეწყობით...



როგორც საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** განაცხადა, თბილისში სტუმრად იმყოფება ცნობილი გერმანელი სპეციალისტი **ბერ ჰარტ მიულერი**. ეს სტუმრობა განხორციელდა ჩვენი ფედერაციისა და გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეთანხმების, რაშიაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ.

ბავშვთა და იუნიორთა გუნდებთან მომუშავე მწვრთნელებთან მიულერმა ტრენინგები უკვე დაიწყო. პირველ სემინარს თბილისის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი გიორგი უდუსაძე) ხელმძღვანელობით გარემონტებულ **ჯგმილ ცენტრცაძის** სახელობის ხელბურთის ცენტრში ესწრებოდნენ, როგორც თბილისის, ისე ქალთა შორის მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფოთისა და ქუთაისის გუნდების მწვრთნელები. საერთოდ, თბილისის გარდა, გერმანელი სპეციალისტი თავის ცოდნას გაუზიარებს აგრეთვე ფოთსა და ფარელში მომუშავე მწვრთნელებს.

იყო ოთხი, დარჩა სამი...

აი, აქამდე დავიდა ერთ დროს ბრწყინვალე ჩვენი ქალთა ხელბურთი

ამას წინათ, სიხარულით გაეწყო, რომ ქალ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატს წყლტუბოელთა გუნდი შეემატა და პირველობა ცოტა „ფერზე მოეფინა“ – სამ გუნდს მაინც ოთხი სჭირს. საყურადღებო ქალების სპორტმენებისთვის ტურნირში მონაწილეობა ფერო პრობლემური გამოდგა, ეიღრე ამას, თავად წყალტუბოელები მოელოდნენ. პრობლემების რა გამოლეს. იმიერნებმა რაც თითმეზე, წაიგეს, რაც არა — წაგება ჩაეთვალათ — სადღეისოდ — 0 ქულა და ბოლო ადგილი.

თუ წყალტუბოელებს ჩემპიონობის ჩაშაორებენ, შესაბამისად ქულები ჩამოეჭრება დარჩენილ სამ გუნდს.

„ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება



3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი

ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქჭრესს“, „მაცნეს“, „ინფოსტრიერს“, „უწყვანს“

გაზეთის დაბეჭდვამდე:

მაიკ ტაისონი დააპატიმრეს და... გაუშვეს

მსოფლიოს ყოფილი ბოსტონელი ჩემპიონი სუპრემობის წონაში მაიკ ტაისონი გუშინ ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს პოლიციამ დააპატიმრა ერთ-ერთ ღამის ბარში, ადგილობრივი ტელევიზიის ოპერატორთან კონფლიქტის დროს. „რაინს მაიკმა“ თურმე რამდენჯერმე სთხოვა ოპერატორს შეეწყიტა მისთვის გადაღება, როცა უარი მიიღო, ვიდეოკამერა წაართვა და ძირადღიერებული ტექნიკა დაუზიანა. გუშინვე ტაისონი გაათავისუფლეს, თუმცა უახლოეს მომავალში მას სამოქალაქო სასამართლო ელის.

სპორტის აკადემია. სიახლეთა ესტაფეტა გრძელდება

„ილიალოგის კლუბი" საკმაოდ ძლიერ კონკურენციაზე დაფუძნდა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია სიახლეთა ჯოჯოხეთური ტემპით ქმნის. ერთ-ერთი ასეთი სიახლე ინტელექტუალური კლუბების ჩამოყალიბებაა. ამ ინიციატივის ავტორი აკადემიის რექტორი, პროფესორი ლევან ალფენიძე

ჯიდაობა ჩვენი, ქართული...

„პრეზიდენტის თასზე“

სამეგრელო-ზემო სვანეთში...

საქართველოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ინიციატივით საქართველოს ჭიდაკებსა და რაიონებში ტარდება შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში „საქართველოს პრეზიდენტის თასზე“.

ზუგდიდში ჩატარდა სამეგრელო — ზემო სვანეთის მხარის პირველობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაცია“ და ზუგდიდის რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. მონაწილეობდნენ: ზუგდიდის, ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მესტიის, ჩხორწყუს გუნდები.

გაგიცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 60 კგ.: 1. ბეჟა შეკვანი (მესტია), 2. პეტრე სახვიშვილი (ფოთი), 3. მათე შამგრაძნი (მესტია); **70 კგ.:** 1. ილარიონ გოგიბერია (ფოთი), 2. მიხეილ მორგოშია, 3. გოგა ლებანაია (ორივე ხობი); **80 კგ.:** 1. რევაზ ცისკარიძე (ზუგდიდი), 2. ჯონი დვებერაძე (ფოთი), 3. ირაკლი ალშიბაია (ზუგდიდი); **90 კგ.:** 1. ზურაბ წერეთელი (მესტია), 2. ლევან ბაკარანძე (ზუგდიდი), 3. ნუკრი ფანასხუაშვილი (ფოთი); **მძიმე წონა:** 1. ალექსეჯ გვასალია (სენაკი), 2. მიხეილ ჭოთაძე (ფოთი), 3. გიორგი უბერია (ზუგდიდი).

შეჯიბრებას ესწრებოდნენ სპორტის სტუმრები. ძიუდოისტები — ოლიმპიური პრიზიორი **ნუსტორ ხერგიანი**, მსოფლიოს ჩემპიონატის III პრიზიორი **ლაშა გუჯეჯიანი**, ევროპის ჩემპიონი **ბექა შუკვანი**, ზუგდიდის გამგეობისა და მთავრობის წარმომადგენლები.

მერაბ ჯიქია, ზუგდიდი.

ჩვენი პროფკავშირი და სპორტი

გივი ნოდიას გახსენება

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთგზის დაფიქსირებულა საქართველოს სპორტსჯიხვი და სპორტის მეშვაობა პროფკავშირის ჩინებული კოლექტივის შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ. უსათუოდ მისაღწევებია მისი თავჯდომარის **იროდე ბეგიაშვილის** ნაყოფიერი შუამავლობა, რომლის სპორტული დევიზია, ყოველდღიურად ზრუნვა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებაზე. მისი უშუალო ინიციატივით გამართული თითოეული სპორტული ღონისძიების ჭეკუთხეს წარმოადგენს სუფთა ტურნირები მინიფეხბურთში. ცნობილია ტრადიციული მასპინძელიც — „ჯარიშასლას“ (ღორეულის) ტურნირი, რომელსაც ზუგდიდის კოლექტივი. ამჯერად თბილისში ჩატარებულ 20-მდე სამინისტროს, დეპარტამენტის, განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქუდმებრებაში მყოფი 120-მდე სხვადასხვა ასაკის მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა, თბილისის „ენგიმის“ 60-იანი წლების გამოჩენილი თავდამსხმელის, მსოფლიოს IX ჩემპიონატის მონაწილის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის **გივი ნოდიას** ხსოვნისადმი მიძღვნილ მინიფეხბურთელთა ტურნირში. სასახარულია, რომ შეიდღეიანმა ასპარეზობამ საქმიან მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა. მემორიალის კალენდარული მატჩების მსელელობაში მაყურებლებმა სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში იხილეს თბილისის „ენგიმის“ ყოფილი ვეტერანი ფეხბურთელები — **კახი ცხადაძე, კახი გოგიბერაშვილი, გოჩა ჯღამარული, გოჩა ჩიქოვანი** და სხვები.

გივი ნოდიას ცოლი და მემორიალის დასკვნით შეხვედრაში გამოსელის უფლება მოიპოვეს საქართველოს კინტროლის პალატამ (**ზურაბ სოსელია**), თბილისის მერიამ (**გიგი უგულავა**), იუსტიციის სამინისტრომ (**კოტე კემულარია**). შინაგან საქმეთა სამინისტრომ (**ვანო მერაბიშვილი**) და ჯანმოელობის სამინისტრომ (**ლადო ჭიაბერაშვილი**). შეჯიბრების მონაწილეებმა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მსგავსი ხასიათის მასობრივი ტურნირები მინიფეხბურთში სისტემატურად უნდა გაიმართოს.

შალვა ძროკიძე:

სურათზე: გამარჯვებული კონტროლის პალატის გუნდი ხელმძღვანელებთან ერთად. გამარჯვებულ გუნდს მთავარი პრიზი გივი ნოდიას ძმამ — ლევანმა გადასცა

ფოტოები რობერტ ბაგრატიანისა.

მცხეთა - მთიანეთის პირველობა

ფოტო რობერტ ბაგრატიანისა

საქართველოს ჭიდაობაში, რაიონებში და რეგიონებში ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ქართული ჭიდაობისადმი, ტარდება შეჯიბრებები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პირველობას ხუთ წონით კატეგორიაში სოფ. გლდანულის სახელობის სპორტული კლუბმა უმასპინძლა. გამარჯვებულები არიან: გიორგი წოკლიური (60 კგ.), ხვიჩა წიკლაური (70), გიორგი ცოცია (90, — სამივე — მცხეთა) გოგიტა მილდინელი და ადამ ოქროპაული (მძიმე. ორივე — დუშეთი).

პირველი ნაბიჯი თანამშრომლობისაკენ

პირველი გზავრიდან

ნოდარ ახალკაცმა და კომპანია კოკაკოლას მარკეტინგის მენეჯერმა **გოგა რობაქიძემ** ილაპარაკეს სფეხსა და კომპანიის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებზე. კოკა-კოლა უკვე სამი წელია საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური სპონსორია და ახლა, თანამშრომლობის ხიდი ფედერაციასთანაც გაიდო.

სფფს-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განმარტა, რომ კოკა-კოლასთან ურთიერთობა მჭიდრო და ნაყოფიერი იქნება და მალლა გადაუხდა კომპანიის ხელმძღვანელს **თემურ ჭყონიას** საქმიან წინადადების მიღებისათვის და ურთიერთობისათვის. კომპანიის მენეჯერის გოგა რობაქიძის თქმით, იგი მოხარულია, რომ პრიზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი,** ამასთანავე არის სფფს-ს ვიცე-პრეზიდენტი, რაც ფეხბურთის ფედერაციის და კოკა-კოლას ინტერესებს უფრო დაახლოებს. კომპანიის სფფ-სთან თანამშრომლობის სურვილი აღრეც ჰქონდა, ჯერ კიდევ, უფროსი ნოდარ ახალკაცის ფედერაციის სათავეში ყოფნისას და სასიამოვნოა, რომ ახლა ჩანაფიქრი განხორციელდა და თანამშრომლობაც ერთ პირველ მცირე ნაბიჯი გადადგა. ამიერიდან, კოკა-კოლა არამარტო ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების, არამედ სფფს-ს და ეროვნული ნაკრების სპონსორი შეიძლება გახდეს.

მალხაზ ასათიანმა დასვენება ითხოვა

კომპანია კოკა-კოლას გენერალური სპონსორობის თაობაზე გამართული პრესკონფერენციის შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ჟურნალისტებს მალხაზ ასათიანის ჩამოუსვლელობის მიზეზი გააცნო.

„მალხაზ ასათიანის ფიზიკური კონდიციები და მისი ამჟამინდელი საერთო მდგომარეობა არ აკმაყოფილებს სანაკრებო დონეს. მან დარეკა და იმის გამო, რომ თავს შეუძლოდ გრძნობს, გეთხოვა ნაკრებში არ გამოგვეძახა და მასთან დასვენების საშუალება მოგვეცა. ჩვენ მოემატეთ მოსკოვის „ლოკომოტივს“ ასათიანის სამედიცინო შემოწმების თაობაზე, რის შემდეგაც დადას-



ტურდა, რომ იგი გადაღლილია და აღდგენით ვარჯიშებს და პროცედურებს საჭიროებს. მიეცემეთ წერილობითი თანხმობა და დასტური მალხაზის კლუბიდან, რომ იგი, ასევე განთავისუფლებულია 12 ნოემბრის სათასო მატჩისგან. უკეთესია, მან საუკეთესოდ დაისვენოს და ჩემპიონატის უმთავრეს მატჩს მოსკოვის „სპარტაკთან“ სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.“ — თქვა ნოდარ ახალკაცმა.

პრესას მან ასევე, შეატყობინა, რომ ნაკრებს შეუერთდა კახა მაღალაძე, რომელსაც სავიზო პრობლემების გამო თბილისში ჩამოსვლა დაუგვიანდა.

ჟურნალისტებს ნოდარ ახალკაცი ეუბნებოდა, რომ ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ პრესკონფერენციას გამართავს და მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის მასმედიის წარმომადგენლებს.

საუნჯესურთო ვიქტორინა

1. რომელ წელს მოკვეთეს თბილისის „ენგიმო“ ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან „კლინფოლდთან“ მსაჯების მოსყიდვის გამო?

ა — 1992 წელს
ბ — 1993 წელს
გ — 1996 წელს

2. რომელ ქვეყანაში გაატარა 1994-2005 წლები ცნობილმა ფეხბურთელმა საშეელ კუფურამ?

ა — იტალიაში
ბ — საფრანგეთში
გ — გერმანიაში

3. ვინ იყო პირველი ინგლისელი ფეხბურთელი, ვინც 100 მატჩი თამაშა ერთ ეროვნულ ნაკრებში?

ა — ბილ რიტჩი
ბ — ბობი ჩარლტონი
გ — ალენ შირერი

4. რომელ წელს გაიმართა ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშება?

ა — 1953 წელს
ბ — 1955 წელს
გ — 1960 წელს

5. რომელ წელს შედგა საბჭოთა საფეხბურთო კლუბების დებიუტი ევროთასებზე?

ა — 1960 წელს
ბ — 1964 წელს
გ — 1965 წელს

პასუხები: 1 – ბ, 2 – ბ, 3 – ა, 4 – ბ, 5 – ბ

რეგიონალური ლიგა

აღმოსავლეთი. XIII ტური

ამერი3	—	დილომი	0-1			
ცხუმი	—	დერეფენ	6-0			
ხალინი	—	ალაზანი	0-1			
ალგეთი	—	გარეჯი	1-2			
კახეთი2	—	ერთობა	7-0			
ამერანი	—	ნ. დინამო2	1-2			
ნ. დინამო	—	ოჩამჩირე	(11.11)			
სამგორი	—	მაღარო	6-0			

გადატანილი მატჩი

გარეჯი	—	ცხუმი	(11.11)

დასავლეთი. იმერეთის ზონა. X ტური

იმერეთი	—	ტორპედო2	4-1
სულორი	—	ნ. დინამო (ქ)	3-0
სამტრედია	—	რაჭა	0-1
შუქურა	—	ზესტაფონი3	1-0
მერცხალი	—	დინამო2 (ზთ)	1-0

ცენტრალური. XIV ტური

პეტროფიი	—	ზოოფერი	1-2
ბორჯომი2	—	გორი	3-2
ჩიხურა2	—	აკადემია	1-0
თბილისი	—	იერია	(11.11)
ამირანი	—	35-ე სკ.	1-0

აღმოსავლეთი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დილომი	13	11	2	0	34-4	35
ამერი3	13	9	3	1	32-4	30
ნ. დინამო	12	9	3	0	28-3	30
ნ. დინამო2	13	8	3	2	20-9	27
ცხუმი	12	7	1	4	35-21	22
ოჩამჩირე	12	7	1	4	26-15	22
სამგორი	13	6	2	5	30-26	20
კახეთი2	13	5	4	4	21-12	19
ხალინი	13	5	3	5	17-14	18
მაღარო	13	4	4	5	14-17	16
გარეჯი	12	4	3	5	11-10	15
ალაზანი	13	3	2	8	7-20	11
ამირანი (ორ.)	13	2	3	8	17-30	9
ალგეთი	13	1	3	9	15-45	6
დერეფენ	13	1	2	10	11-48	5
ერთობა	13	0	2	11	10-50	2

იმერეთის ზონა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
შუქურა	9	6	2	1	20-5	20
მერცხალი	9	5	2	2	12-12	17
კახბერი	9	4	4	1	13-7	16
რაჭა	9	4	3	2	12-10	15
სატრედია	9	3	5	1	9-6	14
დინამო2 (ზთ)	10	3	4	3	10-9	13
ზესტაფონი3	9	3	1	5	11-11	10
იმერეთი	9	2	3	4	11-17	9
სულორი	9	1	4	4	7-11	7
ტორპედო2(ქ)	9	1	3	5	8-16	6
ნ.დინამო (ქ)	9	0	5	4	6-15	5

ცენტრალური

ბორჯომი2	14	10	1	3	30-15	31
ზოოფერი	13	9	2	2	23-7	29
ჩიხურა2	13	7	3	3	29-13	24
აკადემია	14	7	0	7	24-16	21
ამირანი (თბ)	13	7	0	6	19-17	21
გორი	13	5	4	4	29-21	19
იერია	13	5	4	4	12-15	19
35-ე სკ	14	4	1	9	24-32	13
თბილისი	13	3	0	10	15-41	9
პეტროფიი	14	1	3	10	13-40	6

სამეგრელოს ზონა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სქური	8	5	2	1	16-7	17
კოლხეთი (ხ)	9	5	2	2	13-6	17
კოლხეთი2(ფ)	9	5	1	3	20-11	16
დინამო (ზ)	9	4	1	4	14-19	13
სალხინო	8	4	0	4	16-18	12
შგლები	9	3	3	3	10-11	12
თოლია	9	3	2	4	13-12	11
სამეგრელო	9	0	1	8	6-24	1

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
ვებგვერდები სპონსორი

საქართველოს XIII ეროვნული ფესტივალი

თასიდან ისევ პირველობაზე

სანაკრებო და სათასო მატჩებმა ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაზე გავლენა არ მოახდინა და პირველობა კალენდრით დადგენილ დროსა და ვადებში გაგრძელდება. უმაღლესი ლიგის გათამაშების შეკვეთები ტური კვირას გასამართით შეიდი მატჩით დაიწყება და ორშაბათს, ოფსაიდერასა და ერთერთი ლიდერის თბილისური შეხვედრით დასრულდება. წესისამებრ, ამ ტურშიც არის გამოსარჩევი მატჩები.

საჩემპიონოდ შეზარეული, ღონიერი „ვიტ ჯორჯია" მდევარს და კონკურენტს შინ, მეტფითაც უმასპინძლებს. ვიტესთა ხელმძღვანელობა თავად, თბილისის „ლოკომოტივია". საკმარისია, გადაეხედოთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას, ნათელი გახდება,ეს მატჩი ტურში უმთავრესია. ბოლნისის „სიონი" აუტსაიდერ „სპარტაკს" თბილისში ეწვევა და ქედაო მარადის შეკვეთას, ერთი შეხედვით, აღვილად ეცდება. ეს მატჩი მეცამეტე ტურს დაბრუნას კიდევ.

ლიდერობის მოსარჩენ და მადაზე მოსული თბილისის „დინამო" ბათუმელ თანაკუთებელებს ეროვნულ სტადიონზე მიიღებს. იყო დრო, ამ გუნდების ყოველი მატჩი ქართული ფეხბურთის მოვლენად აღიქმებოდა. ახლა, ალბათ, ფაფორტობის სასწორი, მაინც დედაქალაქურ „დინამოსკენ" უფრო იხრება. ჩვენი ფეხბურთის ელიტარულ კლუბებს გამოცდენებული დებიუტანტი „ამერი" თელავში „ახფის" ტატუროვა, კახელებს, არც ნამუტანი უჭირთ, არც ძალან ფუხნით, მაგრამ, რასაც მთელწიც, შინაურ მატჩებს უმადლიან და ალბათ, თბილისელ სტუმრებს ფიცხელ ორთაბრძოლასაც გაუმართავენ.

მძაფრი დაპირისპირება მოსალოდნელი ზესტაფონში. ზესტაფონელები და ფოთელები, ამჟამად, მე-8, მე-9 ადგილებს „მფრად" იფოფენ, ქუთელიც თანაბარი აქვთ, წარმატებების შემთხვევაში ორივეს შეეძლია სატურნირო მდგომარეობა გამოისწორონ და შეხვედრის ინტრიგაც ეს არის.

ბორჯომელები ერთ დროს, ძლიერ, ახლა კი ცხრილის ფსკერის მტკიცედ ქეთილის „ტორპედოს", ახალ სტადიონზე დაუხვდებიან. მეტოქეებს ერთმანეთთან აოქმელიანი სხვათა აპორებთ, აქედან გამომდინარე, ამ პაექრობის ფავორიტი მასპინძელია.

შინიდან გაუსულელად „გასელით" მატჩს ჩაატარებს გორის „დელა". გორელთა მეტოქე „ცხინვალია". ქუელები ორივეს სჭირდებათ, მაგრამ განსაკუთრებით — „მასპინძლებს", რომლებიც სეზონის ბოლოს სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას ცდილობენ, რაც უკეთ საშინაო მატჩებში გამოსცდით.

უბადრუკი და ცვლა უქნელო „თბილისი", არცთუ ძლიერ სოხუმის „დინამოს" მასპინძლობს. იქნებ, ახლა მაინც შეძლონ თბილისელებმა, თუნდაც, ერთი ქულის აღება...

თასის მეოთხედისთვის

მოასპარეზეთ გათამაშებულთა შორის ერთადერთი ნახევარფინალისტი ვერ გახდა. ამ ეტაპზე ყველა ფავორიტი ადგილზე დარჩა და ნახევარფინალში ოთხივე ძლიერი გუნდი შეხვდა ერთმანეთს. ამ ეტაპზე ფავორიტებს ხშირად ხდება ხოლმე ხელის შეშლა, ამიტომ ნახევარფინალის მატჩებს ნამდვილად ელოდებოდა ფეხბურთის მოყვარულთა ფართო საზოგადოება.

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ბორჯომელები და ქუთაისელები. ბორჯომელებმა ეს მატჩი ადვილად მოიგეს, ისე, რომ ოთხი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე ითამაშეს. ბორჯომელებმა ეს მატჩი 3:0 მოიგეს. ორი გოლი ბორჯომელებმა ტაიმის ბოლო წუთებში გაიტანეს. ამ გამარჯვებით ბორჯომელებმა ფინალში ადგილი დაიმკვიდრეს.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ლიდერობის მოსარჩენად მებრძოლი ლიდერი და ბრძოლის ველზე ჯერ არასოდეს დამარცხებული ბოლნისის „სიონი". ლიდერობის მოსარჩენად მებრძოლი ლიდერი ბოლნისის „სიონი" ფინალში ადგილის დასაკავებლად ბრძოლის ველზე ჯერ არასოდეს დამარცხებული ბოლნისის „სიონი" ხვდებოდნენ

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რომის ჰყვავიან «იები»?

მე-15 საუკუნეში მოღვაწე ევროპაში აღორძინების ეპოქა დაიწყო, ამ პროცესის ეპიცენტრი იტალიის ქალაქ ფლორენციაში იყო. მწერლებმა, მხატვრებმა, არქიტექტორებმა და ფილოსოფოსებმა ეს ქალაქი „აღორძინების სიმბოლოდ" აქციეს. ფლორენცია ახლაც აღორძინებას განიცდის, ოღონდ, ფეხბურთში.

2002 წელს გაიტრაცა იტალიის ერთ-ერთი ძველი კლუბი — „ფიორენტინა". ამ მომენტიდან კლუბისათვის ყველაფერი ნელიდან დაიწყო — ჯერ „ფლორენცია ვიოლას" სახელი ეცვა, შემდეგ კი ის ვიმპოზი გახდა. ბიტენი სეზონში, 10 შეხვედრაში 12 ბერით ჰკრავდა გატანილი. — ასეთივე შედეგი ჰქონდა ტონის მეოთხმეტე ტურიდან.

„ტონი შესანიშნავი ფეხბურთელია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ჩემი რამდენიმე რეპორტიორი რომ მოგხსნა. ტონი თავისი კარიერის პიკში იმყოფება. მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ „ფიორენტინას" წარმატება მხოლოდ ტონის კარგმა თამაშმა არ განაპირობა. დანარჩენი მოთამაშეებიც ბოლომდე იხარჯებიან და ჯიელ შეხედრას ჰქონდა ადგილი. — აღნიშნავს ცნობილი იტალიელი ჟურნალისტი ალბერტო სიგნორინი.

„ფიორენტინას" გულშემატკივრები ტონის თქვი ბატისტუტას ადარებენ, ფიორენი „მეორე რეი კოშტას" ხედავენ, რომელიც წარსულში წარმატებით თამაშობდა ფლორენციელ გუნდში. „ვიმპოზა, რომ რეი კოშტას მაგარებენ. ძლიერი გუნდი გვყავს, რომელშიც თამაშობს ისეთი ეგზტრა-კლასის ფეხბურთელი, როგორიც ტონია. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში „ფიორენტინა" მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს".— ეს სიტყვები სწორედ ჰავიც ფიორენციელ გუთვნის.

უნდა ითქვას, რომ „ფიორენტინა" მხოლოდ ტონი და ფიორე ნამდვილად არ არის. გუნდში თამაშობენ გამოცდილი ფეხბურთელები რიკარდო მონტოლივო და ჭაკალ პაცინი, აგრეთვე ვუნდერკინდად წოდებული ბელგიელი ლეგიონერი ვალერი ბოჟინოვი.

„ფიორენტინას" აღდგენა ფეხსაცმელების წარმოების მაგნატის დიეგო დელა ვალეს დამსახურებაა, რომელმაც გრანდიოზული პროექტი დაფარგმა მომავლის გუნდის ჩამოსაყალიბებლად. მიზნის შესასრულებლად მთავარი მწვრთნელის პოსტზე მან მოიწვია ჩეზარე პრანდელი, რომელიც თავის მოვალეობას წესიერად ასრულებს. ფეხბურთელები მისი მაღლიერნი არიან. „ჩვენ მატჩიდან მატჩამდე ვიღებოდით თამაშის ხარისხს. ამაში დიდი დამსახურება მიეძღვის პრანდელის, — განაცხადა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა პაცინიმ.

სეზონი „ა"-ს წლევანდელ სეზონში, 11 ტურის შემდეგ „ფიორენტინას" 25 ქულა აქვს. ეს უფრო მეტია, ვიდრე ამ გუნდს ჰქონდა ქლუბიდან რანირის, ანდა, ჯოკინი ტრაპატონის ხელმძღვანელობის დროს შესაბამისად 1994-95 და 1998-99 წლების სეზონების სტარტზე მცგავს ინტერვალში.

მწლობელი დიეგო დელა ვალე ფერადებას არ აკლებს „ფიორენტინას", — ჯერა, რომ სეზონის ბოლოს კარგ შედეგს მიიღებს. ის აპირებს ინვარიშნის მნიშვნელოვნად გაძლიეროს გუნდის შემადგენლობა, ეს, რა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელს გახდის „ფიორენტინას" წარმატებებს. ასე რომ, „ფაილები", იგივე „იები", „ჩხრეფიან" და ჯიქურ მიიწევენ მწვრთნელებისკენ.

სურათზე: ტონის მორიგი ბერით გაჯერა.

«სუპერკლასიკოს» ციებ-ცხელება

ესპანეთის პრიმერადივიზიონში „სუპერკლასიკოდ" წოდებულ მატჩამდე მადრიდის „რეალსა" და „ბარსელონას" შორის ჯერ კიდევ ერთი კვირაა დარჩენილი, მაგრამ მასთან დაკავშირებული ციებ-ცხელება დაიწყო. ტაბლოიდების ხელმძღვანელობა, პოლიცია და გუნდშემატკივრები ემზადებიან ამ დიდი საფეხბურთო დაპირისპირებისათვის.

გუნდწინა ტელევიზიით „მარადონას" ეთერში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „რეალის" გოლკიპერი იკერ კასილიასი და „ბარსელონას" ფორვარდი სამუელ ეტო'ო.

კასილიასმა აღიარა, რომ ეტო'ოს ბოლო პერიოდში ყოველთვის გაუქს ბერთები მისთვის. „ვიმედოვნებ, რომ ამჯერად ეს აღარ მოხდება," — ამბობს კასილიასი. თავის მხრივ ეტო'ო დაპირდა გოლკიპერს, რომ „სუპერკლასიკოს" მიმდინარეობის დროს ორი ბერთით დაასახუქრებს. გარდა ამისა, კამერუნელმა ფეხბურთელმა კასილიასს და ესპანეთის ნაკრებს წარმატებას უსურვა მსოფლიო ჩემპიონატის ფლეიოფის შეხვედრებში სლოვაკეთის გუნდთან.

ხვალ ფლეი-ოფის შესტვედრებია

შაბათს გაიმართება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფლეი-ოფის შეხვედრები. ევროპის ზონაში სამი შეხვედრა შედგება. ესპანელები საკუთარ მოედანზე უმასპინძლებენ სლოვაკეთის გუნდს. ბატიკითი, რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრებს თავდაც ფავორიტად. ლუის არაგონესს მსოფლიო მეკვლის კარლოს მარჩენას ჯანმრთელობის მდგომარეობა აღელვებს. ტრავმის გამო 26 წლის ფეხბურთელმა ეროვნული ნაკრების ერთი ვარჯიში უკვე გააცდინა. არაგონესს აქვს იმედი, რომ მარჩენა ხვალ მოედანზე გამოსვლას მაინც შეძლებს. მაკრო ტრავმა აწუხებს აგრეთვე ესპანელთა კაპიტანს – რაულსაც.

შეეცადნიან და თურქეთის ნაკრებთან შეხვედრა გუელშემატკივრებისათვის მეტად საინტერესო უნდა იყოს. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მესამე პრიზიორები ყველა ღონეს იხმარენ გერმანიის საგზაურის მოსაპოვებლად.

ნორვეგიელები ჩეხებს მასპინძლობენ. ამ წყვილში ფავორიტებად ჩეხები ითვლებიან, მით უმეტეს, რომ განმეორებით შეხვედრას ისინი შინ ატარებენ.

ახლა ახლისა და ოკეანის ფლეი-ოფის მატჩების შესახებ. ასეთი ორია: ტრინიდადის გუნდი ბაჰრეინის ნაკრებს მასპინძლობს, ხოლო ურუგვაელები უროიერთობას ავსტრალიელებთან გაარკვევენ.

ხვალვე გაიმართება ამხანაგური შეხვედრები, რომელთაგან გულშემატკივართა ინტერესს ორი მატჩი იწვევს: საფრანგეთი – გერმანია და არგენტინა – ინგლისი. ფრანგები გუშინწინ ასევე ამხანაგურად ეთამაშნენ კოსტარიკელებს. დიდი ხნის შეხვედრის შემდეგ ფრანგთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ნაკოლა ანელკა. არ უთამაშია დევიდ ტრეზეგეს, – მას მწვრთნელი რაიმონდ დომენეკი გერმანელებთან ხვალინდელ შეხვედრაში გამოიყენებს. საინტერესოა ფრანგთა ნაკრების თავკაცის გადაწყვეტილი აქვს ძირითადი გოლკიპერის საკითხი. კოსტარიკელებთან ბარტეზმა არცთუ კარგად თამაშა. ხვალ მას ადგილს, ალბათ, კუჯე დაიკავებს. დომენეკი მარტში საბოლოოდ გაარკვევს, თუ რომელ გოლკიპერს ანდოს კარი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ინგლისელებს სერიოზული გამოცდა ელით. არგენტინელებთან შეხვედრაში მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები არიან.

ბაბაევოდ სხვა „ამხანაგობრივ ფრენდილებს": სამხრეთ კორეა – შეედეთი, ფინეთი – ესტონეთი, ლიხტენშტაინი – მაკედონია, შოტლანდია – აშშ, ემირატები – ბრაზილია, პოლანდია – იტალია, პორტუგალია – ხორვატია.

პოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ჯერ ითამაშებს ტრავმირებული რუუდ ვან ნისტელროო. მას შეეცდის 27 წლის კაიორ, რომელიც გერმანული „ბურტას" ღირსებას იცავს. გარდა ამისა, პოლანდიელთა თავკაცმა გამოთქვა „ალქმაარის" 27 წლის მცველი იალინსი.

და კიდევ ერთი, – ღმერთ, ხვალ და ზუბ გაიმართება 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრები:

11 ნოემბერი: ჩეხეთი – გერმანია, ინგლისი – საფრანგეთი, უნგრეთი – იტალია.
12 ნოემბერი: რუსეთი – დანია, უკრაინა – ბელგია, სერბეთი – ხორვატია;
13 ნოემბერი: შვეიცარია – პორტუგალია, სლოვენია – პოლანდია.

ერნან კრესპო: „ჩემი დროც მოვა"

30 წლის არგენტინელმა ფორვარდმა ერნან კრესპომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ეთამაშების შეხვედრებში, ჯამში 39 წუთი ითამაშა ლონდონის „ჩელსის" შემადგენლობაში. გარდა ამისა, ის მხოლოდ ოთხჯერ გამოჩნდა მოედანზე ინგლისის პრემიერლიგის მატჩებში. ამის მიზეზი ხშირი ტრავმები იყო. კრესპო ახლა გამოჯანმრთელებულია და მოთმინებით ელის შანსს აბრაჰოვიჩის გუნდის მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსაგან.

„ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ და კარგ სპორტულ ფორმაში ვიმყოფები. მოხარული ვარ, რომ ვმუშაობ ჟოზე მოურინიოსთან, – ის მხოლოდაო ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მინდა, ხშირად ვითამაშო, მოთმინებით ველი, როდის გამომშვებს მწვრთნელი მოედანზე. მჯერა, რომ ჩემი დროც მალე მოვა", – ამბობს კრესპო. არგენტინელმა ფორვარდმა კარგად იცის, – როცა ფეხბურთელი დიდ გუნდში თამაშობს, ის 90 წუთის განმავლობაში უნდა გაიხარჯოს და შედეგებად იხარჯებოს.

კრესპოს იმედი აქვს, რომ არგენტინისა და ინგლისის ნაკრებთა ხვალინდელ ამხანაგურ მატჩში თამაშის არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში თუნდაც ამიტომ, რომ მეტოქის რანგში წარმომდგებიან „ჩელსში" ჩემი თანაგუნდელები – ფრენკ ლემპარდი, ჯო კოული, ჯონ ტერი... საერთოდ, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრა მსოფლიო მასშტაბისაა. ბოლოს ეს გუნდები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე დაუპარისპირდნენ ერთმანეთს, – მაშინ ინგლისელებმა 1-0 ამარჯვეს. სასაღამენოა, რომ ორივე გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდ", – ამბობს კრესპო.

სგპივენ ჯერარდი – საჭადაოდ „ლივერპულში"?

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ სურს, გუნდში დარჩეს მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგაც. – იმედოვნებს, რომ მწვრთნელთა შტაბში მიეწერენ ადგილს.

„მე ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, თუ რით დავსამქღები მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ. მინდა, რომ „ლივერპულში" დავრჩე რაც შეიძლება დიდხანს. ვფიქრობ, მწვრთნელად ან მენეჯერად მუშაობასაც შევძლებ", – ამბობს სტივენ ჯერარდი.

5 წლის შემდეგ...

პოლანდიის ნაკრების ყოფილი მცველი უინსტონ ბოგარდი მოედანზე უკანასკნელად 2000 წელს გამოჩნდა — ლონდონის „ჩელსის" შემადგენლობაში, მიიღო ჭინჭის მძიმე ტრავმა. მას შემდეგ 5 წელიწად გავიდა და მან ახლახან გააკეთა განცხადება საფეხბურთო კარიერის დასრულების თაობაზე.

საინტერესოა, რომ „ჩელსის" ხელმძღვანელობა 35 წლის ბოგარდის დღევან ხელფასს უხდიდა — 40 ათას ფუნტს ყოველკვირეულად.



ქოზე მოურინიო სიმღვიდეს ინარჩუნებს

ინგლისის პრემიერლიგის ამპიწინანდელ შეხვედრაში „ბანჩესტერ უნაიტედთან" დამარცხების შემდეგ მაინც ინარჩუნებს სიმშვიდეს „ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო.

– ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბავარიასთან" დამარცხების შემდეგ პრემიერლიგაში „მანჩესტერ უნაიტედთან" წაგებეთ, ოღონდ ბუნდოვანი ბუთს. ვფიქრობ, რომ დამარცხებას არ ეთმახორებთ. ვერ ვხედავ აუცს არბიტრზე. ის აგრესიული იყო, მაგრამ ძალზე კორექტულიც, განსაკუთრებით მატჩის მთელი თავით ვკლიდით. კარგად ვთამაშობდით და ვაკონტროლებდით

NBA

შაბუღია კარგად ირჯება, „აბლანება“ კი აგება

NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ტლანტამ“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ უმასპინძლა და დაამარცხა 6 ქულის სხვაობით — 97:103. „ტლანტას“ შემადგენლობაში მოთამაშე ზაზა ფაჭულიამ 13 ქულა მოაგროვა და 9-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„ლეიკერსის“ წარმატება კობი ბრაიანტის გაბრწყინებამ განაპირობა. ამ ყალთაბერიულის ანგარიშზე 37 ქულაა.

ოთხშაბათის გამარჯვით სხვა შეხვედრები: „ჰიუსტონი“ — „სიეტლი“ 94:69, „მილუოკი“ — „გოლდენ სტეიტი“ 103:110, „ინდიანა“ — „ორლანო“ 74:76, „საკრამენტო“ — „დეტროიტი“ 88:102.

გუშინ „ლეიკერსის“ სტუმრად, „მინესოტასთან“ დამარცხდა — 74:88. ბრაიანტმა ამჯერად 28 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა საბოლოო წარმატებისათვის. „მინესოტას“ რიგებში საუკეთესო იყო კევინ გარნეტი. მართალია, მის მიერ მოგროვებული ქულების რაოდენობა არც ისე სოლიდურია (17), სამაგიეროდ, 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

უეიდის 29 ქულამ და ფარიდან ბურთის 11-ჯერ მოხსნამ ვერ უშველა „მაიამის“ სტუმრად „ინდიანასთან“ შეხვედრაში — 90:95.

„ლეიკერსების“ საკუთარ მოედანზე 112:85 დაამარცხა „სიეტლი“. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შეიდგიანი იყო ჯეიმსი — 31 ქულა.

მეტად საინტერესო გამოდგა „ფილადელფიასა“ და „დალასს“ შორის. 15 ქულის სხვაობით — 112:97 გაიმარჯვა „ფილადელფიამ“. ამ გუნდის შემადგენლობაში მოთამაშე აივერსონმა 25 ქულა მოაგროვა.

„სან ანტონიოს“ არ გასჭირვებია სტუმრად „შარლოტას“ დამარცხება — 94:86. სტუმართა რიგებში გამოირჩეოდა თიმ დანკანი, რომლის ანგარიშზე 29 ქულაა.

გუშინდელი სხვა შეხვედრები: „ბოსტონი“ — „მემფისი“ 99:98, „ნიუ ჯერსი“ — „იუტა“ 91:83, „ნიუ ორლეანი“ — „ორლანდო“ 83-88, „ჩიკაგო“ — „გოლდენ სტეიტი“ 85:84, „ჰიუსტონი“ — „ნიუ -იორკი“ 95:83.



ვიტალი კლიჩკო კრივიდან გაეცალა...



ამჟამად სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ვბეჭ-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა, უკრაინელმა პროფესიონალმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ, ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — მან დაასრულა თავისი სპორტული კარიერა. ეს კლიჩკოს გულშემატკივრებისათვის გამანადგურებელი დარტყმა აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ 12 ნოემბერს უკრაინელ მოკრივეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა ჰასიმ რახმანთან ბრძოლაში, მაგრამ შეხვედრა გადაიდო იმის გამო, რომ ვიტალი კლიჩკომ მუხლის ტრავმა მიიღო. მას ოპერაცია ჩაუტარდა კლიფორნიის შტატის სპორტული მედიცინის კლინიკაში. ოპერაციის შემდეგ უკრაინელმა თავისი გადაწყვეტილება სპორტიდან წასვლის შესახებ საზოგადოებას ამცნო. „უკანასკნელ პრიორიტეტზე მეტოქეებს კი არა, საკუთარ ტრავმებს ვებრძოდით. სამწუხაროდ, კარიერის ზენიტში მყოფმა გადავწყვიტე, სპრემპონო ჭამარი ვრიეს ორგანიზაცია ვეცეს გადავეცი. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჩემთვის მეტად ძნელი იყო“, — ამბობს ვიტალი კლიჩკო, რომელიც მომდევნო კვირაში პირებს ოფიციალური შეჯამების პრესკონფერენციის გამართავს.

ვიტალი კლიჩკო კარიერა პროფესიულ კარიერაში 1996 წელს დაიწყო. 1998 წლის 2 მაისიდან 1999 წლის 26 ივნისამდე ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებდა. 2004 წლის 24 აპრილიდან კი — ვბეკ-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ამ 9 წლის განმავლობაში ვიტალიმ 37 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგან 35 მოიგო, ამედან 34 ნოკაუტით.

გარდა ამისა, ვიტალი კლიჩკო ეროვნის ჩემპიონი იყო და კიკბოქსინგშიც წარმატებას მიაღწია — 6-ჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, აქედან ოთხჯერ — პროფესიონალთა შორის.

პირველი მარცხი უკრაინელმა 2000 წელს განიცადა, როცა მეათე რაუნდში წააგო ბრძოლა იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილ კრის ბერდთან, მეორე მარცხი — 2003 წლის ივნისში ბრიტანელ ლენოქს ლიფსთან. გახსოვთ ალბათ, როგორი აფიორტაი გამოიწვია ამ შეხვედრის შედეგმა, რომელიც რეფერებმა დაფიქსირეს. უნდა ითქვას, ბევრი სპეციალისტი დღესაც დარწმუნებულია, რომ რეფერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო — მაშინ კლიჩკოს წარბი ძალიან გაბეჭდილი ჰქონდა.

მას შემდეგ უკრაინელმა სამი ბრძოლა ჩაატარა და სამივე მოიგო. ვბეკ-ს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კორი სანდერსის დამარცხების შედეგად მიიღო. მისი დაცვა ერთხელ მოახერხა — 2004 წლის 11 დეკემბერს მისი ძლიერი დარტყმების მიხვრა-მოხვრის ტრაქმან გაბღა. უნდა აღინიშნოს, რომ კლიჩკოსთან შეხვედრამდე უილიამსმა თვით ლეგენდარული მაკ ტაისონი გალახა.

უკანასკნელ პრეზიდენტი ვიტალი კლიჩკო ტრავმებმა შეაწუხა. ჯერ ზურგი ასტკივდა, შემდეგ მხარი. და მაიც, გულშემატკივები მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას! რინგზე ახალმა მუხლის ტრავმამ კი საბოლოოდ გადაუწერა იმედი მოკრივეს. კლიჩკომ გადაწყვიტა წმენის რანგში წასულიყო სპორტიდან, რომელმაც ის ლენოქს ლიფსამდე გაიყვანა.

მხოლოდ დამაბეგვით დროში

ნჯლ-ის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „დეტროიტისა“ და „ლოს ანჯელესის“ შეხვედრაში გამარჯვებული დამატებითის დროს გამოვიდნენ. საბოლოოდ დეტროიტელმა პოეიტებმა იმარჯვეს 5:4. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს პოლმტროვმა (ორჯერ), ლანგმა, პიზორამბმა და ფრანზუნმა. „რეინჯერსმა“ სულაც ბედისებრი 4:3 აჯობა სტუმრად „ფლორიდას“.

სხვა შეხვედრები: „ბუფალო“ — „ედმონტონი“ 3:5, „ატლანტა“ — „პიტსბურგი“ 5:0, „ოლქემფსი“ — „სენტ ლუისი“ 3-1.

მორესმო: «კიმ კლიისტერსი წელს საუკეთესოა»

ქალთა შორის მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ფრანგმა ამელ მორესმოვა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ბელგიელი კიმ კლიისტერსია.

„ამ ზაფხულს კლიისტერსმა მართლაც რომ დიდებულად ითამაშა. ჩემი აზრით, ის იმსახურებს წლის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდებას“, – ამბობს მორესმო.

მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა

ჩინელმა ქალმა ვან მინჩინამ ძალისმხმა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა 48 კგ წონით კატეგორიაში. გარდა ამისა მან მსოფლიოს ორი რეკორდიც დაამყარა. მესამე ცდაზე 118 კგ. აწია, რაც წინა რეკორდს 1 კგ-ით აჭარბებს. საერთო ჯამში მინჩანის შედეგია 213 კგ, ეს კი 3 კგ-ით მეტია წინა რეკორდზე.

ამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ტაილანდელმა პენორი საელაჭა, ხოლო ბრინჯაოს მედლი წილად ხვდა ხმა თანამემამულეს – არავე ვორატაპორნსს. ჯამი შორის 56 კგ წონით კატეგორიაში საუკეთესო იყო ვან შინ იუანი, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ლი ჯონ-ხუნი და ან ტუნ ხოანი.

ახალ ავგოდრომს აშენებენ

„ფორშუალა 1“-ის ბრალებისათვის განკუთვნილ ავტოდრომ „სილვერსტოუნის“ მფლობელებმა ახალი ტრასის მშენებლობა გადაწყვიტეს. ავტოდრომის ხაზმოვნებს აღრეთვე აშენებენ სასტუმრო კომპლექსი და ტექნოლოგიური პარკი. პროექტის განხორციელდება 880 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

„ჟაკლარენის“ ყოფილი დირექტორი „რედ ბულში“

„ფორშუალა 1“-ის გუნდ „მაკლარენის“ ტექნიკურმა დირექტორმა ედრიან ნიუიმ პოსტი მიატოვა და „რედ ბულში“ გადავიდა სამუშაოდ. აქ მას იგივე თანამდებობა ექნება.

საზღვარგარეთული პრესის ცნობის თანახმად, „რედ ბულის“ მფლობელებმა ნიუის ყოველწლიურად 10 მილიონი დოლარი შესთავაზეს. „მაკლარენში“ ედრიანის ხელფასი 6 მილიონი დოლარი იყო.

ვბა-ს შემაჯამებელ ჩემპიონატზე

ლოს-ანჯელესში მიმდინარეობს ვბა-ს შემაჯამებელი ჩემპიონატი ჩოგბურთელ ქალთა შორის. მერი პირსმა 6:2, 6:3 დაამარცხა ელენა დემენტიევა. მატად საინტერესო გამოდგა ფრანგი ამელი მორესმოს და ბელგიელი კიმ კლიისტერსის შეხვედრა. შეხვედრა მორესმოს გამარჯვებით დასრულდა 6:3, 7:6. ამერიკელმა დინჰეიდ დევენპორტმა 6:3, 7:5 დაამარცხა პატი ხნაიდერი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

11 ნოემბერი, პარასკევი

NTB plus sport. ჩარმინის ფორმულა (11.25), ბურთიანი პოკი (12.25), ჭადრაკი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (14.25), „ატლანტა“ – „ვანკუვერი“ — „ლოკომოტივი“ (18.15), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვოლეი (21.00), „ჭარი და ბურთი“ (23.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ჭაღები (23.45), „ნიკატი“ (0.45), „ფეხბურთი რაგბის წესებით“ (1.35), *HTB plus online.* ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი სამხრეთ აფრიკაში (20.00). EUROSPORT. ჩოგბურთი. ეტაპი ჩემპიონატი (6.00), რაღა.

მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვოლეი (15.00). მსოფლიოს ფეხბურთელთა ადმინპრი (23.00), ეკრანებზე სპორტი (2.00).

12 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. სახოგადოებრივი არხი. რაგბი, საერთაშორისო თასი. საქართველო – ჩილე პირდაპირი (13.55), **მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩები (16.45, 19.00), *HTB plus sport.* ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი (11.25). ფარი და ბურთი (13.25), „ნიკატი“ (14.55), ბილიარდი (15.25), „სპორტული გლობუსი“ (17.40), მძიერული ფეხბურთი (18.05), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „საკრამენტო“ — „დენვერი“ (18.30), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვოლეი, ჭადრაკი (21.00, 23.00), მაგიდის ჩოგბურთი. „პრო ტური გერმანიაში“ (0.15), პრიორიტეტი კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვიტალი კლიჩკო – ჰასიმ რახმანი (6.00), *HTB plus online.* ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი (19.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი-ოფის მატჩი. „წვეიცარია“ — „თურქეთი“ (23.40), პოკი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ნიონიელი“ — „ტორონტო“ (4.00), EUROSPORT. ჩოგბურთი. ვიტას ჩემპიონატი აშშ-ში (6.30), რაღა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30). ოლიმპიური თამაშები. ჰეკინი (17.15), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი-ოფის მატჩები (17.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ჭადრაკი (18.30), ვოლეი (21.00), კრივი (23.00), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი — გერმანია (0.00).

13 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. სახოგადოებრივი არხი. ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „იტ-ჯორჯია“ — „ლუკოილი“ პირდაპირი (19.55), **მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩი (20.00), რესპუბლიკური არხი. პრო-ფესიული კრივი. დიდო კორაულით — ხოსე ლუის კასტანიო (0.40), *HTB plus sport.* პოკი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „მონრეალი“ — „ტორონტო“ (11.25), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „ჩიკაგო“ — „იუტა“ (13.55). ფრენბურთი (15.55), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00). საჭადრაკო მებრძოლება (23.00), მაგიდის ჩოგბურთი. „პრო ტური გერმანიაში“ (0.40). ამერიკული ფეხბურთი (5.30). *HTB plus online.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ შანხაიში (9.00). მაგიდის ჩოგბურთი (13.00), ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი (20.00), EUROSPORT. რაღა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00), სატენბურთი მინიხოკეი (13.30), ჩოგბურთი. ეტა-ს მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (18.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი-ოფის მატჩები (23.00), ოლიმპიური თამაშები. მიზანი — ტურინი (1.15), ჩოგბურთი (1.45)..

სპორტი

თარაზულად: 1. ცნობილი ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 7. XXII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 8. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, ლეგ... 9. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მასპინძელი ქალაქი, 12. ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 13. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ჯალმა... 16. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 17. ცნობილი კანადელი მორბენალი ვაჟი, 18. მოკიდავის ძველქართული ტერმინი, 19. ლეგენდარული რუსი მარათონელი.

შვეულად: 1. მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუდოში, ილი თამაშების პრიზიორი, თემურ... 2. საფეხბ. მწვრთნელი ფერდინანდის სახელი, 3. ფრანგი ჩოგბურთელი ქალი, 4. ზეგსის შვილი, 5. შეფასება ძიუდოში, 6. საფრანგეთში მოთამაშე საქართველოში აღზრდილი ფრენბურთელი ქალი, 8. არგენტინელი ვეტერანი ჩოგბურთელი ქალი, 10. ზამთრის ოლიმპიადის (1988 წლის) მასპინძელი ქვეყანა, 11. „ლეჩეს“ ფეხბურთელი, 14. მატჩის ერთი ნახევარი, 15. ტანვარჯიშელი იღეთი, 16. ცნობილი საფეხბ. მწვრთნელი, არიგო... 17. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე.

მოამზადა ნოდარ ჯაფარიძემ.

ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატი

ბელგრადში (სერბეთი) მიმდინარე ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს ქართველმა სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 55 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, ხოლო 60 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ალექსანდრე ბესელიამ.

ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 55 კგ წონით კატეგორიაში ფინალში ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ბელორუსელი ალექსანდრ კაზაკევიჩი დაამარცხა 3:1 ქულით. ბრინჯაოს მედალი ერგო ბელორუსელ ალექსანდრ კაზაკევიჩს და ბულგარელ ივან ივანოვს.

ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 60 კგ წონით კატეგორიაში ფინალში ალექსანდრე ბესელიამ ბელორუსელი ალექსანდრ ხატკევიჩი დაამარცხა 3:1 ქულით. ბრინჯაოს მედალი ერგო ბელორუსელ ალექსანდრ ხატკევიჩს და ბულგარელ ნიკოლა ნიკოლოვს.

საჭადრაკო პრობლემა

ნ. ვან დრიკი
მ. ჩიბურონის მემორიალი
(1959 წ.)



თამაშობს 3 სვლაში

№87-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ღ:d8!!

1. ..... g:d1 2. ე:f+ მფ:f6 3. ღ:d7X,
1. ..... მ:c5 2. ღ:g5 მფ:d6 3. ე:e5X

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კალტა, 5. კუბერტენი, 10. სიპანგა, 11. დელანო, 12. „ბორდო“, 15. ელი, 17. დუნეორინი, 20. შემპერი, 21. კორტი, 24. პაიკი, 25. რობი, 26. ატალი, 27. ოფი.

შვეულად: 2. ალი, 3. ისინები, 4. „არაე“, 5. კრაბე, 6. „ბორდო“, 7. რინგი, 8. ფატტე, 9. იარიგინი, 10. „სიგმა“, 13. ლაფერუში, 14. „ბოლონია“, 16. ზაპოროჟეც, 18. „ინტერი“, 19. შარა, 20. შაში, 22. „აია“, 23. „ოლი“.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე